

გზამკვლევი
სახელმძღვანელოების
ავტორებისთვის



ბიზნესის და მრავალმხარეობის ინსტიტუტი



გზამკვლევი გამოცემულია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებებს.

რედაქტორი: ნინო საითიძე
დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“



Kingdom of the Netherlands

ISBN 978-99940-728-7-3

© 2018 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

სარჩევი

შესავალი	2
მიკერძოებული, არანეიტრალური აღწერა	4
მიკერძოება და ეთნოცენტრიზმი	6
ქსენოფობიური ტექსტები	9
გარჟი, სტერეოტიპიზაცია	11
სარელაქციო კოფიჩია, წყაროები და სტანდარტის მოთხოვნა	13
არააკადემიური, არაგეგმიური აღწერა	15
კვლის წამლა	17
არაგუსტი ტერმინები	22
უგუსტოები და ლაფსუსები	27



გზამკვლევი ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების ავტორებისთვის

შესავალი

2014-2016 წლებში ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) ატარებდა კვლევას, რომლის ფარგლებშიც შეისწავლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9-12 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები.

კვლევის მიზანი იყო სახელმძღვანელოებში ინტერკულტურული ასპექტების, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კულტურის ხარისხის შესწავლა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმძღვანელოებში გვხვდება ეთნოცენტრული აღწერები, არანეიტრალური ენა და მიკერძოებული სარედაქციო პოზიცია.

არის შემთხვევები, როდესაც განსხვავებულთან მიმართებისას გამოიყენება სიძულვილის ენის შემცველი ან სტერეოტიპული ტერმინოლოგია, ამავდროულად, არასაკმარისადაა ასახული რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების მნიშვნელობა და როლი საქართველოს ისტორიაში.

სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში არ არის საკმარისად წარმოდგენილი რელიგიური ტოლერანტობისა და რელიგიის თავისუფლების საკითხები.

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, ავტორებს შესთავაზოს რეკომენდაციები ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზებისა და შეცდომების თავიდან ასარიდებლად.

ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც ზოგადი განათლების კანონის მიხედვით (მუხლი 3), ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია:

„მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება...“



რისთვისაც საგანმანათლებლო გარემო უნდა უზრუნველყოფდეს „...მოსწავლეში ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობას, ამისათვის კანონი უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან“.

2018-2024 წლებისათვის დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საგნობრივი სტანდარტები გვეუბნება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

„ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ“ (ისტორიის სტანდარტი, საბაზისო საფეხური, მიზანი 11)

და, ასევე, „ისტორიული მაგალითების მოშველიებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება“ (ისტორიის სტანდარტი, საბაზისო საფეხური, მიზანი 12).

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი, სხვა მიზნებთან ერთად, გვეუბნება, რომ „მოსწავლესთან მიმართებით ხელი უნდა შეეწყოს სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირებას, ასევე ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას“.

საგნის „მოქალაქეობა“ სტანდარტის მიხედვით კი, მოსწავლეს უნდა „გამოუმუშავდეს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამენარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა)“.

გასათვალისწინებელია, რომ გზამკვლევი არ ფოკუსირდება რომელიმე კონკრეტული კლასის ან საფეხურის სასწავლო გეგმაზე, არამედ ყურადღება გამახვილებულია ზოგად ტენდენციებზე, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები, რათა ზოგადი განათლების შესახებ კანონსა და ეროვნულ სასწავლო მიზნებს მიესადაგებოდეს. აქედან გამომდინარე, გზამკვლევის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი კლასისა და საფეხურის სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში.



მიკერძოებული, არანეიტრალური აღწერა

სუბიექტური თხრობა

2014-16 წლებში გრიფირებული, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოთა ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ტექსტები, რომლებშიც სახელმძღვანელოთა ავტორები, რელიგიურ-ეთნიკურ თემატიკაზე მსჯელობისას, საუბრობენ პირველ პირში, სუბიექტური პოზიციიდან, მაგალითად:

„წმინდა გიორგი ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი...“

...„იგავი გვასწავლის, რომ უფლისათვის თანასწორნი არიან პირველნი და უკანასკნელნი: ‘ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა და უკუანანი წინა’ (მათე 20-16), რომ არასოდეს არის გვიან ღვთის სამსახურში ჩადგომა, რომ ღვთიური სამართალი თანაბრად მიეზღვება ჭეშმარიტების მსახურთ“.

„ამიტომ ვუნოდებთ ჩვენ ღმერთს სამება ერთარსებას. მამადმერთი არის საწყისი, მისგან იშვა ძე და სულიწმინდა“.

სარედაქციოკომენტარი: “მაცხოვარი გვასწავლის, რომ გული და გონება სუფთა, წმინდა იყოს, რომ იქ სიყვარული და კეთილი აზრი წარმოიშვას”.

პირველ პირში თხრობით, სახელმძღვანელოები არა მარტო საკუთარ სუბიექტურ პოზიციას გამოხატავენ, არამედ, ფაქტობრივად, სახელმწიფოსაც წარმოაჩენენ როგორც რელიგიურად მიკერძოებულ, ეთნო-კონფესიურად განსაზღვრულ ინსტიტუტს; ხელოვნურად ქმნიან ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებთან დიქტომიური სხვაობის, „ჩვენ-ისინი“ დაპირისპირებისა და გაუცხოების ველს, ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს, რელიგიურ-ეთნიკური განსხვავების მიუხედავად, თავი თანასწორ, სრულფასოვან მოქალაქეებად აღიქვან.

სახელმძღვანელოს ნარატიული ტექსტების, პარაგრაფების, სარედაქციო კომენტარების პირველ პირში მოწოდება მაშინ, როდესაც თემატიკა ეთნიკურ და რელიგიურ საკითხებთანაა დაკავშირებული, გულისხმობს, რომ სახელმძღვანელოს რეციპიენტად მხოლოდ ეთნიკურად ქართველი ან მართლმადიდებელი მოსწავლეები და მასწავლებლები არიან აღქმული.

რამდენადაც საჯარო სკოლა ეთნიკურად და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია, რამდენადაც საქართველოს სახელმწიფო არ არის ეთნო-კონფესიური ნიშნით განსაზღვრული სისტემა, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუცია და „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ეფუძნება და გამოხატავს საქართველოს მოქალაქისა და ადამიანის თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტურ ღირებულებებს, უაღრესად დიდი შეცდომაა მოსწავლეებთან, ეთნო-კონფესიურ კონტექსტში, მიკერძოებული პოზიციის გამოვლინება, თხრობისას პირველი პირის გამოყენება.

არსებითია, რელიგიურ და ეთნიკურ თემატიკაზე სახელმძღვანელოს ნარატიული პარაგრაფები, სარედაქციო პოზიციები და შენიშვნები ნეიტრალური და გაშუალებული მიდგომით და ენით იყოს გადმოცემული.



შესაბამისად, მსგავსი ტიპის ფორმულირებები: „ამიტომ ვუნოდებთ ჩვენ ღმერთს სამება-ერთარსებას“ და ა.შ., სასურველია, გადმოიცემოდეს შემდეგნაირად: „საეკლესიო სწავლებით, ერთი ღმერთი სამპიროვანია“ ან „მართლმადიდებელი ეკლესია ერთ ღმერთს სამება-ერთარსებას უნოდებს“; „საქართველოს მართლმადიდებლური მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანია წმ. გიორგი“; „იესო ქრისტე თავის მიმდევრებს ასწავლის, რომ მათ უნდა განიწმინდონ გული და გონება“.

„უფლის მიერ შექმნილი“

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში ვხვდებით ასე ფორმულირებულ შეკითხვას:

„როგორ უპირისპირდება ჯაცოს მხატვრული სახე უფლის მიერ შექმნილი ადამიანის ხატს?“

ეს შეკითხვა უფრო დეტალურად განვიხილოთ, რაკილა მასში თითქოს სუბიექტივიზმი, მიკერძოებულობა მკაფიოდ არ არის გამოხატული.

სახელმძღვანელო სვამს კითხვას, რომელშიც იმპლიციტურად, იმთავითვე მოიაზრება, რომ სამყარო და ადამიანი ღმერთმა შექმნა, შექმნა ადამიანის იდეა, ხატი. რატომ არის ასეთი პოზიცია საჯარო სკოლისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ენისთვის არანეიტრალური?

სახელმძღვანელო იქმნება როგორც თეისტი, ასევე ათეისტი, ანუ ყველა ტიპის მრწამსისა და შეხედულებების მქონე მასწავლებლებისა და მოსწავლეთათვის. ათეისტური მრწამსის მქონე ან სკეპტიკურად განწყობილმა მოსწავლემ, სავსებით შესაძლებელია, მიუღებლობა გამოხატოს ამ ტიპის, რელიგიური მრწამსით გამსჭვალული შეკითხვისადმი.

შესაბამისად, საჯარო სკოლის სახელმძღვანელოს ენით უშუალო მტკიცება, რომ ღმერთი არსებობს (ან საპირისპიროს დაშვება, რომ ღმერთი არ არსებობს), რომ იგია სამყაროსა და ადამიანის ხატის შემოქმედი, არღვევს საჯარო სწავლების მიუკერძოებლობის, აკადემიურობის, სკოლისა და რელიგიის გამიჯვნის მოთხოვნას.

სახელმძღვანელო, შესაძლებელია, გაშუალებულად, ნეიტრალურად წარმოადგენდეს სხვადასხვა მოსაზრებას – როგორც სამეცნიეროს, ასევე რელიგიურს, მაგრამ სახელმწიფოსა და საჯარო სწავლების სეკულარული, ნეიტრალური და აკადემიური ხასიათიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოს ენა, სასურველია, იმთავითვე არ ეყრდნობოდეს ან თავის თავში მტკიცებითი ფორმით არ მოიცავდეს ტრანსცენდენტური, ირაციონალური ფენომენების შესახებ რაიმე რელიგიურ სწავლებას, სუბიექტური პოზიციით არ იჭრებოდეს რელიგიური ან არარელიგიური რწმენის სივრცეში.

ამ ტიპის ხარვეზის თავიდან არიდება შესაძლებელია, თუკი ნეიტრალურ ენას მივმართავთ და, მაგალითად, ამ კონკრეტულ შეკითხვას ასეთ ფორმულირებას მივუძებნით: „როგორ უპირისპირდება ჯაცოს მხატვრული სახე ადამიანის შესახებ ბიბლიურ ან ქრისტიანულ წარმოდგენას?“.



მიკერძოება და ეთნოცენტრიზმი

„შემოკადლებაულები“

მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გრიფირებული სახელმძღვანელო იწყება პასუხით კითხვაზე, რატომ ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას:

„ამ წიგნში დასაბამიდან დღემდე, შენი სამშობლოს, საქართველოს ისტორიას შე-
ისწავლი [...], ქართველი ხალხი მშვიდობიანად თანაცხოვრობდა სხვა ეთნოსების
წარმომადგენლებთან – ებრაელებთან, ბერძნებთან, სომხებთან და სხვა, რომლებიც
ისტორიული ქართველების დროს, საქართველოს შემოეკედლნენ და მისი ჭირისა
და ლხინის თანაზიარნი გახდნენ. ეს რეალობა ტოლერანტობის საუკეთესო მაგა-
ლით წარმოადგენს“.

მართლაც, მნიშვნელოვანია, საქართველოს ისტორიის შესახებ თხრობის სათავეშივე ითქვას
ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ, რომელიც საქართველოს ისტორი-
ული, სოციალური, კულტურული სიმდიდრეა.

მნიშვნელოვანია, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა ქართული ისტორიის, კულტურის,
ქართული გარემოს განუყოფელ და განსაკუთრებულ მახასიათებლად იყოს წარმოდგენილი,
როგორც სახელმძღვანელოს ტექსტებში, ასევე, ზოგად, ისტორიული თუ ლიტერატურული
ე.წ. დიდი ნარატივის დონეზე.

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, ერის ვინაობის განსაზღვრისას, საუბრობდა იმის შესახებ, რომ
ქართველი ერი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ისტორიული ერთობისა და თა-
ნაცხოვრების საფუძველზე და არა გვარტომობრივი (ეთნიკური), რელიგიური და ენობრივი
ნიშნების მიხედვით:

*ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის
სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის მნეობითს და გონებითს აღმატებულობას,
თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა
და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალეებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთო-
ბა ისტორიისა. ერი, ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად
მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულო-
ბით, ძლიერია. „ოსმალის საქართველო“, „ივერია“, 1877.*

საქართველოს კონსტიტუცია და მთელი სამართლებრივი სისტემა, ადამიანისა და საქართვე-
ლოს მოქალაქის განსაზღვრისას, ეფუძნება არა ეთნიკურ ან რელიგიურ მახასიათებლებს,
არამედ – მოქალაქეობის პრინციპს.

საქართველოს ორგანული კანონით მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს მოქალაქეობა
არის პირის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი და საქართველოს მოქალაქეები
კანონის წინაშე თანასწორნი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა,
რელიგიისა, ეთნიკური თუ ეროვნული კუთვნილებისა.



აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი პრიორიტეტული სახელმწიფოებრივი ამოცანა თანასწორუფლებიანობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მუდმივი ხელშეწყობაა, რაშიც შესაძლებელია ერის კონცეფციის ილიასეული გაგების ხორცშესხმა მოვიაზროთ.

ამ კონცეფციის მიხედვით, იმას, თუ რას წარმოადგენს ქართველი ერი, განსაზღვრავს არა ეთნიკურობა ან რელიგიურობა, არამედ დრო, ტერიტორია, მოქალაქეობა – სამართლებრივი ბმა სახელმწიფოსთან – ისტორიის ჯაჭვში ჩაბმა.

ამ ტიპის დეფინიციის დასაბუთების ერთ-ერთი არგუმენტი და ილუსტრაციაა, ასევე, საუკუნეების განმავლობაში, ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინი „ქართველი-ებრაელი“, რაც გულისხმობს ეთნიკურად ებრაელს, ხოლო სამოქალაქო, ეროვნული გაგებით – ქართველს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება საუბარი ქართველ-სომხებზე, ქართველ-აზერბაიჯანელებზე, ქართველ-ოსებზე და ა.შ.

გარდა ამისა, საქართველოს ისტორიის, ისტორიული პროცესის, ერის განვითარებისა და ჩამოყალიბების იმ ჭრილში წარმოჩენა, რომ, თითქოს, ეთნიკური ქართველები არიან მასპინძლები, ხოლო ყველა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფი საქართველოში – სტუმარია („შეკედლებული“), ეთნოცენტრიზმს, ქსენოფობიას, შეუწყნარებლობასა და შოვინისტურ განწყობებს ასაზრდოებს.

მაგალითად, ამ გაგებით, სტუმარი მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა ის სტუმრისათვის განსაზღვრული წესების შესაბამისად იქცევა, არ ლახავს მისთვის, როგორც სტუმრისთვის, მიჩენილ ადგილს, მაგრამ, საკმარისია, დადგენილი წესები დაარღვიოს და თანასწორობა მოითხოვოს, ვთქვათ, მასპინძელთან, რომ კონფლიქტი წარმოიქმნება.

ცხადია ისიც, რომ ეთნიკური მრავალფეროვნების კონტექსტში სიტყვა „შემოეკედლნენ“ ერთმნიშვნელოვნად დამამცირებელი და დამაკნინებელია ყველასთვის, ვისაც არ უნდა მოიხსენიებდნენ და აღწერდნენ მისი მეშვეობით.

საქართველოს საჯარო სკოლის ნებისმიერი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მოსწავლეს სახელმწიფო უნდა სთავაზობდეს იმ პოსტულატის სრულფასოვან გაზიარებასა და გაცნობიერებას, რომ საქართველოს მოქალაქე საქართველოს სახელმწიფოსადმი ლოიალური, მისი ინტერესებისა და მთლიანობის დამცველი, კანონმორჩილი, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და ტოლერანტული მოქალაქეა.

ამ ტიპის ფორმულირება, საგანმანათლებლო ტექსტუალური მასალის „სტუმრისა და მასპინძლის“ კონტექსტში მიწოდება, „ჩვენ და ისინი“ ჯგუფებად დაყოფა, იმ აზრით, თუ ვინ არის მკვიდრი ქართველი ერი და ვინ – „შემოეკედლებული“, ზოგადად, საქართველოს ისტორიის სწავლების მიზნის ამ ჭრილში განხილვა, ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივ მიდგომას, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის ინტერესს.

ქვემოთ საუბარი იქნება იმაზე, რომ არაერთმა ეთნიკური/რელიგიური ნიშნით უმრავლესობის იდენტობისგან განსხვავებულმა პიროვნებამ და ჯგუფმა შეასრულა უაღრესად მნიშვნელოვანი როლი როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, ხოლო, ისტორიულ-კულტურული მეხსიერება მათ ქართველი ერის გმირებად მოიაზრებს.



საქართველოს ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქე საკუთარ თავს შეიძლება მიიჩნევდეს ქართველი ერის წარმომადგენლად, ქართველი ერის ინტერესების დამცველად, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს მათი ეთნიკური წარმომავლობის ნიველირებას, უარყოფასა და ასიმილაციას.

„ეროვნულად მოაზროვნე“

...„ეროვნულად მოაზროვნე პიროვნება, რომელსაც ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად ქრისტიანობის დაცვა და სარწმუნოებრივი სიმტკიცე ესახება [...] აბოს მარტვილობის აღწერით იოვანე საბანისძემ მიზნად დაისახა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება“.

V-VIII საუკუნეების, ასევე, ზოგადად, შუა საუკუნეების გარემოს აღწერისას, ეროვნულობის ნიშნის წინა პლანზე წამოწევა ისტორიულადაც არაზუსტია და უშუალოდ ჰაგიოგრაფიულ საეკლესიო ტექსტებთან მიმართებითაც მცდარ პოზიციას წარმოადგენს.

შუა საუკუნეების „ერი“, უმეტესწილად, უშუალოდ სასულიერო იერარქიის მიღმა არსებული საზოგადოების აღსაწერად გამოიყენება („ერი და ბერი“) და არა ნაციონალური თვითშეგნების საფუძველზე კონსოლიდირებული ერთობის გამოსახატავად. ამ ეპოქაში იდენტობის მთავარი მარკერები რელიგია და ამა თუ იმ საერო ხელისუფლებისადმი ქვეშევრდომობა/კუთვნილებაა.

ამასთანავე, ჰაგიოგრაფიული ტექსტების შექმნის მიზანი, ამა თუ იმ წმინდანის მოწამეობრივი ან რელიგიური ცხოვრების წარმოჩენის მეშვეობით, მხოლოდ სარწმუნოებრივი აღზრდა და რწმენის გაღრმავებაა.

შესაბამისად, ჰაგიოგრაფიული ტექსტების ავტორთა, ამ შემთხვევაში კი, იოანე საბანისძის „ეროვნულ მოაზროვნედ“ აღწერა, მისი ვინაობის არცთუ ზუსტი განსაზღვრაა. აბოს მარტვილობის გადმოცემით, იგი არა ეროვნული, არამედ ქრისტიანული თვითშეგნების განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

გარდა ამისა, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, სახელმძღვანელოების ენა თანამედროვე კონტექსტში აიგივებს სარწმუნოებრივსა და ეროვნულ იდენტობებს, რაც არაკორექტულია მრავალფეროვანი და ნეიტრალური სასკოლო გარემოს კონტექსტშიც და პრობლემატურია ერის სწორედ თანამედროვე, ილიასეული გაგებისა და მოქალაქეობის სამართლებრივი განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

„ერთმორწმუნეობის“ ლოგიკა

„როგორც წესი, საქართველოს ხელისუფალნი ორიენტაციას ბიზანტიაზე იღებდნენ, რადგან ბიზანტია მართლმადიდებლური, ქრისტიანული ქვეყანა იყო... ბიზანტიის ადგილი რუსეთმა დაიკავა, რისი მთავარი იდეაც, მაჰმადიანური გარემცვისგან თავდაცვა, ქრისტიანობის შენარჩუნებით ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა იყო“.



დიქტომია „ერთმორწმუნე მართლმადიდებელი“ versus „მაჰმადიანური სამყარო“, ხელს უწყობს ისლამის, როგორც მტრული რელიგიისა და მტრის ხატის კონსტრუირებას, მაშინ როდესაც რუსეთი, როგორც მართლმადიდებლური იმპერია, რომელიც სწორედ მართლმადიდებლობას, როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დოქტრინას იყენებს „მესამე რომის“ იმპერიული კონცეფციის შესამუშავებლად, სახელმძღვანელოს ამ კონკრეტული ტექსტის მიხედვით, ტრადიციულ და მისაღებ პოლიტიკურ არჩევნად შეიძლება იყოს წაკითხული. ამდენად, ნებისმიერ იმპერიასთან ურთიერთობის აღსაწერად, სასურველია სხვა ენის, ცნებების, კატეგორიების გამოყენება და არა – „ერთმორწმუნეობის“ ლოგიკისა.

ქსენოფობიური ტექსტები

„თანდათანობით ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები გადამთიელებმა დაიკავეს“.

„თურქმენები კახეთიდან გადაიხვეწნენ, ქვეყანა ერთიანად გაიწმინდა შემოსახლებული მომთაბარეებისაგან“.

„გადამთიელი“

მონოდებული მასალები შეიცავს საქართველოს თავსგადამხდარ ისტორიაზე მითითებას, მაგრამ, მოსწავლეს იმთავითვე უქმნის მოტივაციასა და განწყობას („გადამთიელები“), რომ სხვა ეთნოსის ადამიანებთან ურთიერთობა ქვეყნისთვის შეიძლება საზიანო და უბედურების მომასწავებელი იყოს.

ამავდროულად, შესაძლებელია, ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, ვთქვათ, ბახტრიონის ომი, აღინეროს არა იმდენად ეთნო-რელიგიურ ჭრილში, არამედ პოლიტიკურ – თავისუფლებისა და დეოკუპაციის – დისკურსში.

„თურქმენები კახეთიდან გადაიხვეწნენ“-ს ნაცვლად, შეიძლება დაინეროს „ამ ომის შედეგად, თურქმენთა ჯგუფმა დატოვა საქართველო“ და საერთოდ არ იყოს გამოყენებული შეტად პრობლემატური, გენოციდისა და ნაცისტური პოლიტიკის აღწერის შესაბამისი ტერმინი „გაიწმინდა“.



ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში, უადგილოა „გადამთიელის“ ტერმინის გამოყენება, ვინაიდან იგი კოლექტიურ ცნობიერებაში იმთავითვე უარყოფით შინაარსთანაა დაკავშირებული.

„უცხო“, სხვა ქვეყნების მკვიდრებთან, მათ საქართველოში მყოფობასთან მიმართებით, სავსებით შესაძლებელია, ანალოგიური შინაარსის გადმოსაცემად, ნეიტრალური და უფრო ობიექტური ფორმულირების გამოძებნა: „თანდათანობით ივრისა და ალაზნის ველები ჩამოსახლებულმა თურქმენებმა დაიკავეს“.

„საქართველო გამუქდა“

სახელმძღვანელოს საავტორო შეკითხვები: „ჯაყოს საუბრისას ამახინჯებს ქართულ ენას, რაზე მიგვანიშნებს ეს?“, „სად არის ჯაყოს სამშობლო, ვინ არიან მისი ნათესავები?“, „რომელ ისტორიულ მოვლენას აღწერს მწერალი ისტორიულ-ალეგორიული ფრაზით – ვარდისფერი საქართველო გამუქდა და განითლდა?“, „რატომ მოსდევს ამ ციტატას ფრაზა – როკის მთებიდან კიდევ ერთხელ ჩამოგორდნენ ჯაყოს ძმები და ბიძები?“.

ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების სწავლებისას, როგორც არის „ჯაყოს ხიზნები“, მნიშვნელოვანია გაცნობიერება, რომ ტექსტის საზრისი არ მიემართება და არ გამოხატავს სხვა ეთნიკური ჯგუფისა და ეთნიკური ქართველების ურთიერთმიმართების პრობლემატიკას. ტექსტში საერთოდ არ არის ნახსენები ჯაყოს ეთნიკური წარმომავლობა – ჯაყოს ქცევა, ამ პერსონაჟის განვითარება, ცხადია, საერთოდ არ არის განპირობებული მისი ეთნიკური წარმომავლობით.

შესაბამისად, თავად ტექსტის აღქმისა და გააზრების თვალსაზრისით, მკითხველისთვის არაფრისმთქმელი და უსარგებლოა ზემოთ გამოტანილი კითხვები. „ჯაყოს ხიზნების“ გაანალიზებისთვის, მათ დასმას მხოლოდ და მხოლოდ ის მიზანი და შედეგი შეიძლება ჰქონდეს, რომ ტოტალური ძალადობისა და ჩაგვრის პრობლემიდან, მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობათა სტრუქტურის, ადამიანის, საზოგადოების, ერის უმთავრეს გამონწვევებზე რეფლექსიის მოტივირებიდან, აქცენტი ეთნიკურ პრობლემატიკაზე გადავიდეს.



მარი, სტერეოტიპიზაცია

განზოგადება

სტერეოტიპი არის ამა თუ იმ ჯგუფის შესახებ, სავარაუდოდ, კონკრეტულ, იზოლირებულ საფუძველზე წარმოქმნილი განზოგადებული და, თავისი არსით, მცდარი წარმოდგენა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული მიზეზიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის ე.წ. ცრუ ცნობიერების მექანიზმია. იგი კონკრეტულს სძენს მასშტაბს, აზოგადებს. მაგალითად, არაერთი ქართველი ძარცვის დანაშაულისთვის სასჯელს იხდის ევროპული ქვეყნების საპატიმროებში, მაგრამ ქურდობის დანაშაულის ქართველებზე განზოგადება არის სტერეოტიპი და ამხინჯებს რეალობას ქართველების უდიდესი უმრავლესობის შესახებ.

ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ინფორმაცია 1921 წლის მოვლენების შესახებ ამგვარადაა მონოდებული:

„ბოლშევიკების გარდა, მოსკოვმა საქართველოს რესპუბლიკის მთვრობას ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები დაუპირისპირა“.

ესაა განზოგადებისა და სტერეოტიპიზაციის კლასიკური ნიმუში, რომელიც კონკრეტულ სოფლებში მცხოვრები, კომუნისტური რუსეთის მოკავშირე, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ადამიანების ამბოხს უკლებლივ მთელ ეთნიკურ უმცირესობებს მიანერს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება კონკრეტული ისტორიული სინამდვილის აღწერას ისახავს მიზნად, „დაპირისპირების“ განზოგადება და ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის მიწერა მცდარია და, ზოგადად, ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულების სტერეოტიპიზაციას იწვევს. სრულიად საკმარისი იქნებოდა ფაქტის კონკრეტული აღწერა.

გაშარჟება

სახელმძღვანელოებში გვხვდება ტექსტები, რომლებშიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები თითქოს იუმორით, მაგრამ, სინამდვილეში, მათდამი დამაკნინებელი მიმართებით არიან წარმოდგენილი.

ამავდროულად, მონოდებულია ტექსტები, რომლებიც შეიცავენ კლასიკურ სტერეოტიპებს, მაგალითად: ებრაელი ვაჭარი, სომეხი მენაღე, ქურთი მეფხოვე.

თავისთავად, მხატვრულ ტექსტებში კონკრეტულ ფუნქციებსა და საქმიანობასთან ეთნიკური ნიშნის მიწერა პრობლემა არ არის, მაგრამ ნებისმიერი მხატვრული ტექსტი აღიქმება და გაიგება კონტექსტთან მიმართებით.

ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოყვანილია წყარო, რომელშიც ნეგატიური სტერეოტიპიზაციის გარდა, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების პორტრეტები სარკასტულადაა გაშარჟებული. თუმცა, სარედაქციო დავალება ასეთი ტიპის მხატვრულ ტექსტს მოსწავლეს აწვდის მრავალფეროვნების აღწერის ნიმუშად და არა ტექსტში მონოდებული ინფორმაციის



კრიტიკულ კონტექსტში, სტერეოტიპების ან სიძულვილის ენის შემცველი ფრაზების გამოსავლენად.

ამონარიდები გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგიდან“

სპარსელი მექისე. „თავი: საორშიმე კვახი თუ ქვასანაყი. ... პათოსი – გუდაფშუტის. სახელი: ფინხული“.

ქურთები. „ოფლის სუნი ისეთი: თითქოს ჰებრაელთა „მიკვას“ გვერდით მიდიოდე. ნუ თუ ყველაფერს ჯიში ეკარგება ტფილისში?!“

აისორი მეეზოვე. „ქალები ტანსაცმელში ჩაგოდრილან: თითქოს ერთბაშად ჩაუცვამთ ყველა საცმელი – შეგეფეთებიან – ოფლის ცხარე სუნი გეცემთ პირველად. ...ასურეთი ახრობს ირანის ლომს. მისი ნაშიერი მეეზოვეა ტფილისში. მისი მოდგმა ფეხსაცმლის მწმენდელია“.

სარედაქციო დავალება: „გააანალიზე მოცემული ნაწყვეტი და შექმენი ამ მონაკვეთში აღწერილი ადამიანების „პორტრეტი“. აღწერე მათი გარეგნობა, ჩაცმულობა, საქმიანობა, ხასიათი, ეროვნება, პროფესია და ა. შ.“

დავსვათ შეკითხვა – როგორია სასკოლო კონტექსტი, როგორ შეიძლება აღიქვან ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ამგვარი მოხსენიება ან კონკრეტულ ფუნქციას მინერილი ეთნიკურობა დასახელებული ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეებმა? მათმა თანაკლასელებმა უმრავლესობიდან?

შესაძლოა, ჯობდეს, ასეთი ტიპის ტექსტების გამოყენებას სახელმძღვანელოების ავტორებმა საერთოდ აარიდონ თავი, ან, თუ რომელიმე ტექსტი მაღალი მხატვრული ღირებულებისაა, აუცილებელია, მას დაერთოს შესაბამისი განმარტება იმის შესახებ, რომ მაღალმხატვრული ტექსტებიც შეიძლება არ იყოს თავისუფალი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით განზოგადებებისგან, სიძულვილის ენისგან.

სახელმძღვანელოთა ამოსავალი პრინციპი ისევ და ისევ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ეროვნულ ღირებულებად გაცნობიერება და პატივისცემა უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, ამ ცენტრალურ ღირებულებას დაექვემდებაროს ტექსტების შერჩევაც, სარედაქციო განმარტებებიც, შეკითხვებიც და თხრობაც.



სარედაქციო კოფიზია, წყაროები და სტანდარტის მოთხოვნა

ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნება ერთგვარი ბუნების ხიდია, რომელზეც უნდა გაიარონ სახელმძღვანელოს ავტორებმა.

სახელმძღვანელოების „ლიტერატურული, ისტორიული და სამოქალაქო „კანონი“, ანუ იმ აუცილებელი ავტორების და ხდომილებების ნუსხა, ასევე ფასეულებები, რომელთა წარმონაჩენა სახელმძღვანელოებში თავისთავად იძლევა წარმოდგენას ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარებასა და საქართველოს ისტორიის ძირითად მოვლენებზე, სამოქალაქო ღირებულებებსა და მოქალაქეობის პრინციპებზე, ბუნებრივია, შეიცავს ისეთ ტექსტებსა და მოვლენებს, რომლებიც ასახავს მწვავე დაპირისპირებებს, კონფლიქტებსა და ძალადობის სცენებს.

ერთი მხრივ, თავი არ უნდა ავარიდოთ ისტორიული სინამდვილისა და, ლიტერატურული თვალსაზრისით, ღირებული ტექსტების მიწოდებას, ხოლო, მეორე მხრივ, პატივი უნდა ვცეთ მოსწავლეთა მრავალფეროვნებას, რელიგიურ შეხედულებებსა და ეთნიკურ იდენტობებს.

ამის მიღწევა სავსებით შესაძლებელია, სწორედ დამატებითი სადისკუსიო მასალების მიწოდების საფუძველზე, რომლის მიზანიც მოსწავლის მიერ ფაქტის ან ლიტერატურული ნაწარმოების არაერთი პერსპექტივიდან გაანალიზება იქნება.

ამ მიზნის საპირისპიროდ, ლიტერატურის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, აბო ტფილელის ნამების აქტუალობის წარმოსაჩენად, მოტანილია შოთა ნიშნიანიძის ლექსი, რომელიც, ღია ისლამოფობიური შინაარსის გარდა, ამბობს, რომ დღესაც რჯულის დაცვის ანალოგიური გამონწვევის წინაშე ვდგავართ.

ჰაბო ანუ ფერფლის ლეგენდა

უკან დარჩა უდაბნო... და ბალები ფშატის,
 ლომთა კმინვა... თუთიყუშთა კვინინი...
 ბრუნდებოდა ნერსე ნაჩუქარი ფაშატით,
 უკან ბიჭი მოსდევდა არაბული კვიცივით.
 –რატომ მოსდევ, ბიჭო, მაგ ურჯულო გიაურს,
 გაანებე თავი, ჯანდაბის გზით იაროს!
 საით მისდევ, უგუნურო, სად სიკვდილში მისდევ,
 რად არჩიე მაჰმადს წამებული ქრისტე.
 რად არჩიე უზარმაზარ გამარჯვებულ ხალიფატს
 ერთი მუჭა მიწა დამარცხებულ ხალიბთა.
 საით, ცოდვის შვილო, შეჩერდი!... შეჩერდი!...
 მაჰმადის მახვილივით ლაპლაპებდა მეჩეთი...



**რაც არ უნდა დიდი იყოს საქართველოს მსხვერპლი,
სიყრუე და გულქვაობა გადამთიელ ხეპრის,
– იმ ფერფლს, შავ ფერფლს, სიძულვილის აუნონელ ზღვა ფერფლს
აბოს ფერფლი გადასწონის, ერთი მუჭა ფერფლი...**

დასმულია კითხვა: ეს ლექსი აბოს წამებიდან 12 საუკუნის შემდეგ დაიწერა. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

ძველი ქართული ლიტერატურის შედეგის, „აბო თბილელის წამების“ სწავლებისას, გახსნილი უნდა იყოს ისტორიული კონტექსტი, ნაჩვენები უნდა იყოს მიზეზები, თუ რატომ დაიწერა ეს ტექსტი, სრულად უნდა იყოს წარმოჩენილი ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნა, თუ რამდენად არაქსენოფობიურია ტექსტი ეთნიკური თვალსაზრისით.

მაგრამ, თანამედროვეობასთან აბოს წამების დაკავშირება შოთა ნიშნიანიძის ლექსის მეშვეობით, დღევანდელ რეალობას არ ასახავს და ქსენოფობიური წარმოდგენების გაღვივების ნიადაგს ქმნის.

საპირისპიროდ, აბოს წამების თანამედროვე წაკითხვა, შესაძლებელია, ისლამისა და ტოლერანტობის შესახებ იღია ჭავჭავაძის, კირიონ კათალიკოსის, გაბრიელ ქიქოძის, თავად მუსლიმი მოაზროვნეების სიტყვების დართვით შემყნარებლობაზე.

კონფლიქტებისა და შეუწყნარებლობის ამსახველი ტექსტების, ხდომილებების სახელმძღვანელოში წარმოჩენა განსაკუთრებული სიფრთხილითაა საჭირო.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მათ შესახებ ჰქონდეთ მოსწავლეებს მრავალმხრივი მსჯელობის განვითარების, მათი კრიტიკული გაანალიზების შესაძლებლობა. ამას ხელს შეუწყობს დამატებითი წყაროების, მკვლევართა და მეცნიერთა შეხედულებების, სარედაქციო კომენტარების და სადისკუსიო კითხვების, სტანდარტის საგანმანათლებლო მიზნების – მრავალფეროვნების პატივისცემის, თანასწორობისა და ტოლერანტობის ღირებულებების შესაბამისად შერჩევა.



აკადემიური, არამეცნიერული აღწერა

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საჯარო სასკოლო განათლება უნდა ატარებდეს აკადემიურ ხასიათს და ასევე სასწავლო პროცესი (რაც სახელმძღვანელოს ენასა და დისკურსსაც გულისხმობს) გამიჯნული უნდა იყოს რელიგიისგან.

აკადემიური ხასიათი გულისხმობს იმას, რომ სწავლება – სახელმძღვანელო ტექსტები, დისკურსი, მოაზრებული უნდა იყოს ნებისმიერი მოვლენის ახსნის და გადმოცემის სამეცნიერო, რაციონალურ კონტექსტში. ამავდროულად, აკადემიურობა გულისხმობს მითოლოგიური, რელიგიური, ზებუნებრივი ფენომენების დისტანცირებული ანუ გაშუალებული ენით გადმოცემას.

როგორც ლიტერატურის, ასევე ისტორიის სახელმძღვანელოებში ვხვდებით ტექსტებს, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, არასამეცნიერო, რელიგიური, საეკლესიო ისტორიის, ე.წ. საეკლესიო გადმოცემის ნარატივს ეფუძნება.

ისტორიის სახელმძღვანელოში გვხვდება უშულო თხრობა იმის შესახებ, რომ საქართველოში პირველი საუკუნიდანვე ქრისტეს მოციქულებმა ანდრიამ, მათათამ, და სვიმეონ კანანელმა იქადაგეს ქრისტიანობა და ასევე ისიც, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. იგივე შეიძლება ითქვას მაცხოვრის კვართისა და სიდონიას ისტორიაზე. გარდა ამისა, ვხვდებით ივერიის ქართული მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებული საეკლესიო გადმოცემის პირდაპირ საისტორიო ნარატივად მოწოდებას:

ხატმებრძოლების დროს, მე-9 საუკუნეში, ნიკეაში ცხოვრობდა მორწმუნე ქვრივი, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მალავდა. ხატმებრძოლებმა მას მიაგნეს და ერთმა მელმარმა მას შუბი აძგერა, ხატიდან სისხლი გადმოდიოდა. შეშინებული ხატმებრძოლები გაიქცნენ. ქვრივმა ილოცა და ხატი ზღვაში ჩაუშვა. ხატი ათონის მთასთან, ივერთა მონასტერთან, შეჩერდა. ბერებმა ვერ შეძლეს მისი ზღვიდან ამოღება, სანამ ხატმა თავად არ ამცნო, ქართველმა ბერმა, გაბრიელმა გამომიყვანოსო. ხატი ივერთა მონასტერში, კარიბჭის თავზე დაასვენეს. მას შემდეგ ივერიის ღვთისმშობლის ხატი საქართველოს მფარველად ითვლება.

ამგვარ გადმოცემებს ინახავს საეკლესიო ისტორია, მათ საეკლესიო გადმოცემას უწოდებენ და არ არის დადასტურებული მეცნიერული კვლევების მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ქრისტიანობის როლის, ხასიათისა და რაობის გაგება შეუძლებელია ამ გადმოცემების ცოდნის გარეშე, მნიშვნელოვანია, რომ მათ შესახებ სახელმძღვანელო მოსწავლეს აწვდიდეს წყაროებსა და ინფორმაციას, თუმცა, აუცილებელია მათი გაშუალებული ენით აღწერა.

მაგალითად, თუ ტექსტი პირდაპირ მოგვითხრობს, რომ საქართველოში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა, სასურველია, წინადადება შემდეგი კონსტრუქციით შეიცვალოს: საეკლესიო გადმოცემის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა.



კრიტიკული და აკადემიური აზროვნების განვითარებისთვის, მსგავსი ტიპის საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა წყაროსა და სამეცნიერო კვლევა-ძიების განმარტებით მასალად მიწოდება. მაგალითად, რას ფიქრობს ივანე ჯავახიშვილი მოცემული საკითხის შესახებ, რით განსხვავდება მისი ხედვა, ვთქვათ, კორნელი კეკელიძის დამოკიდებულებისგან და ა.შ. ანდა, კიდევ რომელი ქვეყნების საეკლესიო გადმოცემები იცნობს მოციქულთა, კონკრეტულად, ვთქვათ, ანდრია პირველწოდებულის საქოციქულო ქადაგების ამბავს, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და ა.შ.

სახელმძღვანელოებში წმინდა ნინოსა და საქართველოს გაქრისტიანების ისტორიის კონტექსტში, მირიანის სასწაული, სვეტიცხოვლის ისტორია და სიდონიას ამბავი მოცემულია უშუალო თხრობით, როგორც ისტორიული ფაქტი. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს გაშუალებული თხრობის პრინციპი, საეკლესიო გადმოცემის და წყაროს მეშვეობით. და ასევე სასურველია, სამსჯელო და საანალიზო მასალაში მიმოხილული იყოს სასწაულები, რომლებიც სხვადასხვა ევროპული ერის გაქრისტიანებას უდევს საფუძვლად. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სამეცნიერო კვლევა-ძიებების და ენის მეშვეობით იმსჯელონ სასწაულების ფენომენოლოგიაზე და იმაზე, თუ რა განაპირობებს ამ ტიპის „ზებუნებრივი“ მოვლენებისა და ქრისტიანობის მიღების ურთიერთდაკავშირებას ძველ წყაროებში.

საჯარო სკოლა თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი მოვლენის საკრალიზაციისგან. არ შეიძლება, მოსწავლეს რომელიმე ისტორიული ხდომილება მხოლოდ ერთ ჭრილში მიეწოდოს, სასურველია ყველა მსგავს მოვლენაზე წყაროებისა და მოვლენების მრავალფეროვნების წარმოჩენა, რათა მოსწავლეს თავისუფალი მსჯელობის უნარ-ჩვევები განუვითარდეს.



კვლის წაგლა

სახელმძღვანელოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში უმეტესწილად, სრულფასოვნად არ არის ასახული საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, დაკნინებულია არადომინანტური, განსხვავებული ჯგუფების ადგილი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში.

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების ფართო ასახვის საჭიროება ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და სასწავლო გეგმების მიზნებიდან გამომდინარეობს. საჯარო სკოლა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით მრავალფეროვანი გარემოა, ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლე სახელმძღვანელოს ტექსტთან მიმართებით „შინ“ გრძნობდეს თავს, არ იყოს მისგან გაუცხოებული.

გარდა ამისა, ობიექტურად შეუძლებელია ქართული ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო ღირებულებების სრულფასოვანი შემეცნება და გააზრება მრავალფეროვნების შესახებ ცოდნისა და კონტექსტის გაშლის გარეშე.

ისტორიის სახელმძღვანელოები დუმილით გვერდს არ უნდა უვლიდნენ რელიგიური და ეთნიკური ნიშნით განსხვავებული ჯგუფებისა და პიროვნებების ღვანლის წარმოჩენას. ასევე უმნიშვნელოვანესია, სახელმძღვანელოებში აისახოს მრავალფეროვნება სოციალური ცხოვრების დონეზე და ის კვალი, რომელის სხვადასხვა ეთნოსებმა და კონფესიებმა დატოვეს კულტურულ სინამდვილეში: ენა, ლიტერატურა, მეცნიერება, არქიტექტურა, მხატვრობა, მუსიკა, ჩაცმულობა, სპორტი, კულინარია, და სხვ.

რად ღირს, მაგალითად, საქართველოს ისტორიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმის, სიდონიას, აბიათარ მღვდლისა და წმინდა ნინოს შესახებ მონათხრობის გააზრების შესაძლებლობა იუდაიზმისა და ქრისტიანობის შეხვედრის კონტექსტში. სახელმძღვანელოებში ამ შეხვედრის სტურქურაზე, მიზნებსა და მნიშვნელობაზე მსჯელობა უფრო მეტად უნდა იყოს ნახალისებული, ვიდრე მეტოქეობის შინაარსი



სასურველია, უფრო ფართოდ აისახოს სომეხთა ეკლესიისა და ეთნიკური სომხების როლი, - სომხურ-ქართული სამეფოების თანამშრომლობის ისტორია. შესაძლებელია, ცალკე მსჯელობის საგანი გახდეს ის მოტივები, თუ რატომ შექმნა ლეონტი მროველმა კავკასიური ერთობის საისტორიო ნარატივი, სადაც ხაზგასმითაა ნახსენები, რომ ჰაოსი და ქართლოსი ძმები არიან.

საეკლესიო დაპირისპირებისა და განხეთქილების პარალელურად, მნიშვნელოვანია წარმოჩენდეს სომხურ-ქართული საეკლესიო თანამშრომლობაც, სომეხთა ეკლესიის მესვეურების საგანმანათლებლო საქმიანობა - მაგალითად, ეპისკოპოს ევეტიქისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მოღვაწეობა.



ქართულ-სომხური ურთიერთობების კონტექსტში, შესაძლებელია, წყაროდ მითითებული იყოს კირიონ კათოლიკოსის (საძაგლიშვილი) წერილი სომეხთა კათოლიკოსისადმი, სადაც კირიონი რელიგიური და კულტურული ურთიერთობების განმტკიცების აუცილებლობაზე საუბრობს.

მე-19 საუკუნის თბილისური ყოფა წამორუდგენელია სომეხი კომერსანტების/მეცენატების წვლილის გარეშე კულტურისა და ქალაქური ცხოვრების, არქიტექტურისა და საქველმოქმედო საქმიანობის განვითარებაში, ხოლო ლიტერატურის ნაწილში, ვფიქრობთ, აუცილებელია საეტაპო პოეტისა და აშუღური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, საიათნოვას, მრავალენოვანი შემოქმედების შეტანა, რამდენადაც, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში საიათნოვას სახელი, ფაქტობრივად, არ გვხვდება.

სახელმძღვანელოები, სასურველია ასახავდნენ ქართველი სიმბოლისტებისა და ოვანეს თუმანიანის ლიტერატურულ ძმობას, ხოლო კულტურის დიდ მოღვაწეთა ჩამონათვალში, სხვებთან ერთად, მაგალითად, დიდი რეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის სახელი გვხვდებოდა.



საქართველოს ისტორია წამორუდგენელია არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ კათოლიკე ეკლესიის ღვანლის გარეშე. ისტორიის სახელმძღვანელოებში, შესაბამისი ასახვით, ადგილი უნდა დაიკავოს რომის ეკლესიისა და ქართველი კათოლიკეების შესახებ ობიექტურმა თხრობამ.

სასურველია, ადეკვატურად იყოს განხილული ქართველ მეფეთა და რომის პაპთა მიმონერის კორპუსი. სახელმძღვანელო უნდა იძლეოდეს იმის გააზრების საშუალებას, რა რეალობიდან გამომდინარე ეძებდა ქართული პოლიტიკა მუდმივ კავშირს რომთან, ან იყო თუ არა ეს, როგორც ხშირად წერენ ხოლმე, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მისწრაფება.

საქართველოსა და რომის საყდრის ურთიერთობის ისტორია, არა მხოლოდ გაყოფის შემდეგ, არამედ გაყოფამდეც იმსახურებს განხილვას. რად ღირს, მაგალითად, ილარიონ ქართველის რომში მოგზაურობა, ან ათონის მთის ქართველ ბერ-მონაზონთა რომაული ორიენტაცია.

კარგი იქნება, ყურადღება გამახვილდეს თბილისში მე-14 საუკუნეში საეპისკოპოსოს დაარსების მნიშვნელობაზე, ხოლო პოლიტიკურ და რელიგიურ დისკურსში, ზუსტად და ობიექტურად აისახოს, ეკლესიათა გაყოფის შემდეგ, ქართველ მეფეთა, პოლიტიკოსთა, სასულიერო მოღვაწეთა ერთი ნაწილის არამართო რომაული ორიენტაცია, არამედ კოთლიკეობაც, რასაც ხშირად დუმილით უვლიან გვერდს. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ფიგურები: სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (რომელიც აფზეთისა და სამეგრელოს კათოლიკოსიც იყო, თუმცა ეს ფაქტი, სახელმძღვანელოებში არ იხსენიება) და კათალიკოსი ანტონ პირველი წამორჩენილი უნდა იყვნენ კათოლიკე აღმსარებლობის კონტექსტშიაც.

უაღრესად მნიშვნელოვანია კათოლიკე მისიონერთა წვლილის სრულფასოვანი ასახვა, რო-



მელთა სახელსაც უკავშირდება საქართველოში პირველი ქართული სტამბის, ლექსიკონის, გრამატიკის სახელმძღვანელოსა და ზღაპრების კრებულის გამოცემა, ასევე მედიცინის, სწავლა - განათლების ცენტრების, ქველმოქმედებისა და პოლიტიკური აზრის განვითარების ხელშეწყობა.

სასურველია, ქართულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში ზუსტად იყოს წარმოჩენილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რომის ეკლესიის პოზიცია, ვინაიდან იგი ამ ურთიერთობებში დიდ საფრთხეს ხედავდა და, მაგალითად, პადრე ნიკოლას პირით, გიორგი მეცამეტეს პირდაპირ აფრთხილებდა, რუსეთთან პოლიტიკურ-რელიგიური დაახლოების რისკების თაობაზე. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ამ პოზიციითა და ამსახველი წყაროების შესახებ გამართონ დისკუსიები.

გარდა ამისა, სასურველია, სრულყოფილად წარმოჩნდეს ქართველ კათოლიკე მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა, კომერსანტებისა და პოლიტიკური ფიგურების როლი მე-19-მე-20 საუკუნეების საქართველოს ისტორიაში: თამარაშვილის, ფალიაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, თარხნიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ძმები ზუბალაშვილებისა, პეტრე ოცხელისა და სხვების. მოსწავლეებმა ასევე, სასურველია, იცოდნენ დედა ტერეზასა და რომის პაპის ვიზიტების შესახებ საქართველოში და მათი მნიშვნელობა გააზრება შეეძლოთ.



შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობისა და ისლამის თანაარსებობა, საქართველოს ისტორიის ერთგვარი Status quo -ა, რომელიც ჩვენი წარსულისა და თანამედროვეობის პოლიტიკურ, ასევე გეოპოლიტიკურ და კულტურულ შინაარსს ქმნის. მნიშვნელოვანია, სწორი საფუძვლების მოძიებით, ზუსტი ფორმულირებებით წარმოვანინოთ ეს თანაარსებობა, რომელსაც თან სდევს უამრავი ტრაგიკული ეპიზოდი და სურათი, მაგრამ, ამავედროულად, გამდიდრებულია ქრისტიანულ-ისლამურ ურთიერთობათა პოზიტიური გამოცდილებითაც.

ამ ისტორიის პრობლემატური მხარეები, სასურველია, აღინეროს მაქსიმალურად ნეიტრალური ტერმინებითა და თხრობით, ისე, რომ მუსლიმი მოსწავლე არ გრძნობდეს თავს დამცირებულად, შეურაცხყოფილად, უცხოდ, ხოლო მის მიმართ, თუკი ვთქვათ, კლასში უმცირესობაშია, არ შეიქმნას ნეგატიური ატმოსფერო.

სახელმძღვანელომ ურთიერთგარიყვას კი არ უნდა შეუწყოს ხელი, არამედ, ტოლერანტული უნდა გახადოს განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მოსწავლეების ურთიერთობა სასკოლო სივრცესა და საზოგადოებაში. ეს არა მხოლოდ სწავლების ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, არამედ ბუნებრივი ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანაც არის.

ამავდროულად, ცხადია, ეს ამოცანა არ შეიძლება გულისხმობდეს ისტორიის რევიზიას და სასურველი მიზნით მის რეკონსტრუირებას. მაგრამ, ნეგატიური ისტორიული გამოცდილების პარალელურად, სრულფასოვნად უნდა იყოს წარმოჩენილი პოზიტიური თანაარსებობისა და თანამშრომლობის პლასტიკა: მაგალითად, დადებითია, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ადგილს უთმობენ დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას თბილისის მუსლიმი მოსახლეობისადმი. შეიძლება ამ მიმართების



უფრო ვრცელი და სიღრმისეული წარმოჩენაც წყაროების სრულყოფილი მოხმობითა და სადისკუსიო თემატიკის გაშლით, საიდანაც დავადგენთ, რომ მეფეთა შემწყნარებლობა იყო არა ერთჯერადი აქტი, არამედ – გააზრებული, თანმიმდევრული, მრავალსაფეხურიანი პოლიტიკის ნაწილი. ამავდროულად, ამ ტიპის პოლიტიკა უაღრესად პოზიტიური საგარეო რეზონანსის მიზმიც გახლდათ.

მნიშვნელოვანია მუსლიმ ქართველ მეფეთა შესახებ ობიექტური თხრობა, მათი წარმოჩენა, უპირველეს ყოვლისა, იმ ნიშნით, თუ რა წვლილი მიუძღვით მათ ქვეყნის განვითარებაში და არა იმ საფუძველზე, რომ ისინი იყვნენ, უპირველეს ყოვლისა მუსლიმები, რაც შეიძლება იმთავითვე ნეგატიურად განაწყობდეს მკითხველს. ამ კუთხით როსტომ ხანის მმართველობის პერიოდი საფუძველს გვაძლევს, რომ ქრისტიანული და მუსლიმური თანაარსებობა – ოჯახის დონეზე დაწყებული, ქვეყნის მართვის, ეკონომიკური, კულტურული განვითარების დონით დამთავრებული – ტოლერანტული, პოზიტიური ურთიერთობების მაგალითად წარმოვაჩინოთ.

აუცილებელია, ადგილი დაეთმოს ეთნიკურად არაქართველი მუსლიმების როლს, - მაგალითად, აზერბაიჯანელების თავგანწირვას ერეკლე მეორის ჯარში. ამგვარი მაგალითები სახელმძღვანელოებში მოგვეპოვება მაგრამ, მნიშვნელოვანია, მათი კიდევ უფრო ფართოდ წარმოჩენა.

ცალკე მსჯელობის საგანი უნდა იყოს ისლამურ-აღმოსავლური კულტურის მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებაში – დაწყებული პროზით, პოეზიით, მხატვრობით, ჩაცმულობით, ხალხური ტრადიციებით, დამთავრებული ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტების მიერ ისლამური სამყაროს აღქმისა და რეპრეზენტაციის გამოცდილებით. ამ კონტექსტში, საინტერესო იქნება „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ქრისტიანულ-ისლამური ცივილიზაციების ჰარმონიული თანაარსებობის ლიტერატურული შედეგისა და ვაჟა ფშაველას პოემების განხილვა.

შესაბამისი დრო და ადგილი დაეთმოს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, 70-იანი წლებიდან, რუსეთის იმპერიაში ისტორიული ქართული მიწების შემოერთების შემდეგ, ქართველი მუსლიმებისა და ქრისტიანების ინტეგრაციის შესაძლებლობათა გააზრებას მოწინავე საზოგადო მოღვაწეების მიერ. სასურველია, წარმოჩინდეს თერგდალეულთა თანმიმდევრული პოზიცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ქართველ მუსლიმთა ინტეგრაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ნაშრომებისა და მისი პიროვნული როლის სრულყოფილი განხილვა, - მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიაზრონ ეს საკითხი და გამართონ დისკუსია შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, ამონარიდები ილიას წერილებიდან „სამუსლიმო საქართველო“. სასურველია, მოსწავლეებს ჰქონდეთ იმაზე მსჯელობის შესაძლებლობაც, თუ რატომ გახდა აუცილებელი „მუსლიმის დღის“ დაწესება, რამ განაპირობა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა მუსლიმი მოსწავლეებისათვის იაკობ გოგებაშვილის თაოსნობით, ანდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ილია ჭავჭავაძის მოტივი, როდესაც იგი ყურანის პირველი ქართული თარგმანის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იყო.



მნიშვნელოვანია პირველი ქართული რესპუბლიკის და პოლიტიკური პარტიების ხედვის გააზრება ზოგადად ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართულებით და, განსაკუთრებით, მუსლიმ მოსახლეობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აუცილებელია ქართველ საეკლესიო მოღვაწეების ტოლერანტული და სოლიდარული დამოკიდებულების წამოჩენა ქართველი მუსლიმებისადმი. შესაბამისი წყაროების საფუძველზე, მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, იმსჯელონ, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მოტივი და მიზანი, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხილი დიდი სასულიერო პირების - გაბრიელ ქიქოძისა და ალექსანდრე ოქროპირიძის ღია, აქტიური, სოლიდარული პოზიციისა მუსლიმი მოსახლეობისადმი. ამ კონტექსტში, ასევე სასურველია, სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობდეს, ვთქვათ, კირიონ კათალიკოსის შემდეგი ფრაზის განხილვას: „ებრაული ბიბლია, ქართული სახარება და მუსლიმური ყურანი ყოველთვის მშვიდობიანად თანაარსებობდა საქართველოში“.

დაბოლოს, უმნიშვნელოვანესია, წარმოჩინდეს მუსლიმი ქართველების როლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ამ ადამიანების სახელები და ასევე უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ, მაგალითად, პირველი მუსლიმი პარლამენტარი ქალი იყო ჩი-ფარი, აზერბაიჯანელი ქალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მუსლიმი დეპუტატი.



პროტესტანტიზმის კვალს საქართველოში მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეგვიძლია გავაღვევოთ თვალი. ეს არის ძირითადად საქართველოს სამეფოებში პროტესტანტთა მოგზაურობანი და პროტესტანტული ლიტერატურა, რომელიც ამ დროისთვის უკვე ითარგმნება. მე-19 საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება გერმანული კოლონიზაცია, რაც უკავშირდება საქართველოში გერმანელი (შვაბი) პროტესტანტების გადმოსახლებას და მათ სახელთან დაკავშირებული ქალაქთმშენებლობის, საინჟინრო საქმიანობის, არქიტექტურის, ასევე, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას.

საქართველოს გერმანელები – ეს არის, ალბათ, ყველაზე მჭიდრო, უშუალო კავშირი ევროპასთან. უნდა ითქვას, იმ ქალაქებისა და დაბების შესახებ, რომლებიც მათ ააშენეს: ბოლნისი, ასურეთი, ნოი თიფლისი, ეკატერინფელდი... სასურველია, მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, მარტივად დააკავშიროს გერმანელთა როლი საქართველოში, ვთქვათ, თბილისის ევროპული არქიტექტურის მშვენიერ ნიმუშებთან.

გარდა ამისა, პროტესტანტიზმის მნიშვნელობა მხოლოდ კულტურული შრიტ არ ამოიწურება, არამედ ის ასევე უკავშირდება საბჭოთა ტოტალიტარული, ათეისტური რეჟიმისადმი ნონკონფორმისტულ დამოკიდებულებას. იქ, სადაც საუბარი გაიშლება საბჭოთა იდეოლოგიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი, მნიშვნელოვანია, წარმოჩინდეს სწორედ პროტესტანტული ეკლესიების წინააღმდეგობაც, ის, მიზეზები, რომელთა გამო არ თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

კომუნისტური ტოტალიტარიზმის ფენომენზე მსჯელობისას, სასურველია, მოსწავლეებს ჰქონ-



ნდეთ შესაძლებლობა, წყაროებსა და მაგალითებზე დაყრდნობით, გაეცნონ რელიგიური წინააღმდეგობის კონკრეტულ ფაქტებს. მაგალითად, რატომ არ თანხმდებოდნენ პროტესტანტთა ოჯახები თავიანთი შვილების პიონერთა და კომკავშირელთა რიგებში განწევრიანებას, რატომ აცხადებდნენ მთელი რიგი პროტესტანტული ეკლესიები საბჭოთა რეგისტრაციის გავლას და აშ.

დაბოლოს, ინტერრელიგიური თანამშრომლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაწყებული ბიბლიის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნა. ამ პროცესს კოორდინაციას უწევდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ხოლო თარგმნის პროცესში, მისი მიწვევით, მონაწილეობდნენ ბაპტისტი (პროტესტანტი) სასულიერო პირი, მალხაზ სონღულაშვილი, ებრაელი მეცნიერი, ნისან ბაბალიკაშვილი და მართლმადიდებელი მეცნიერი, ზურაბ კიკნაძე. წიგნი, რომელიც შესაძლებელია, მოსწავლეთა უმრავლესობის სახლებში იდოს, იმსახურებს მისი თარგმნის ისტორიის ცოდნასაც.

ზოგადად, სახელმძღვანელოების სტრუქტურა და ნარატივი უნდა ქმნიდნენ უწყვეტი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების, როგორც საქართველოს ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, სოციალური სიმდიდრისა და სიამაყის წყაროს შესახებ წარმოადგენას.

მხდარი ტერმინები

დროთა განმავლობაში, ქართულ ენაში დამკვიდრდა რელიგიური, ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინები, დასახელებები, რომლებიც ან ამახინჯებენ ამა თუ იმ ჯგუფის იდენტობის მნიშვნელობასა და შინაარსს, ან, უბრალოდ, არაადეკვატურია მათ აღსაწერად, ანაც ნეგატიურ კონოტაციას შეიცავენ და მათი გამოყენება ამა თუ იმ ჯგუფთან მიმართებით, შეურაცხმყოფელია.

ამ ტიპის ტერმინების გამოყენებაზე უარის თქმა მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეებმა, თუკი ისინი ამა თუ იმ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, თავი დამცირებულად და შეურაცხყოფილად არ იგრძნონ; ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ჯგუფების ზუსტი დასახელების შესახებ მართებული ცოდნა შეიძინონ.

ამასთანავე, სწორი სახელწოდებებისა და ტერმინების ცოდნა ხელს შეუწყობს მოსწავლე-



ბსა და პედაგოგებს, დასძლიონ კოლექტიურ ცნობიერებაში დამკვიდრებული კლიშეები და სტერეოტიპები, რომლებიც სხვა ჯგუფებს უარყოფით ან არასახარბიელო კონტექსტში განიხილავს.

1 „ზანგი“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რომ დამკვიდრებულ ტერმინს თანამედროვე სამეტყველო ენაში ნეგატიური შინაარსი შეიძლება ჰქონდეს შეძენილი.

თუკი, ეტიმოლოგიურად, „ზანგი“ აღნიშნავს მხოლოდ კანის ფერს, კოლექტიურ ცნობიერებაში ეს დასახელება უარყოფით, დამაკნინებელ შინაარსს იძენს. მაგალითად, ფრაზა „ზანგები ხო არ ვართ“, ან „გაზანგებული“, ორივე შემთხვევაში, მონობასა და დაჩაგრულობას, რასიზმს, დამამცირებელ სტატუსში ყოფნას გამოხატავს.

ამდენად, სასურველია, ზანგის ნაცვლად შავკანიანი ან „აფრო-ამერიკელი“ იყოს ნახსენები. ეს რეკომენდაცია არ ეხება წყაროებსა და მხატვრული ლიტერატურის ტექსტებს, არამედ, უშუალოდ სარედაქციო თხრობას, კომენტარებსა და შეკითხვებს უკავშირდება.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ლიტერატურულ ტექსტებსა და წყაროებში მსგავსი ტერმინით განსხვავებული კანის ფერის ადამიანს ან ჯგუფს მოიხსენიებენ, სასურველია, ამას თან ერთვოდეს მცირე სარედაქციო კომენტარი და შესაბამისი ახსნა-განმარტება.

2 „თათრები“, „თათარი“ თურქული წარმომავლობის დიდი ეთნიკური ჯგუფის ეთნონიმი. დღეს, ამ ეთნონიმის გამოყენება, მით უმეტეს, ნეგატიური მნიშვნელობით, თურქებთან და აზერბაიჯანელებთან ან მუსლიმ ქართველებთან მიმართებით, მცდარია სამეცნიერო თვალსაზრისითაც და სოციალური მნიშვნელობითაც. კიდევ უფრო პრობლემურია ტერმინი „გათათრება“, რაც ისლამის მიღების ეთნიკურ ფორმას წარმოადგენს და მკაფიოდ უარყოფით შინაარსს შეიცავს. როდესაც მსგავს სიტყვას ისტორიულ ან ლიტერატურულ წყაროებში ვაწყდებით, მნიშვნელოვანია, მას სარედაქციო კომენტარი დაერთოს.

3 თანამედროვე ენისა და აკადემიური დისკურსისათვის უცხოა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა, მაგალითად, **გადამთიელი, უცხოტომელი, მომხვდური, ურჯულო**. ისინი ხშირად შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიურ განწყობებს გამოხატავენ. ამ ტერმინებით მოაზრებული შინაარსის გადმოცემა შესაძლებელია თანამედროვე და შედარებით ნეიტრალური ენით, ვთქვათ, მომხვდურის ნაცვლად – თავდამსხმელი, ოკუპანტი, დამპყრობელი; გადამთიელისა და უცხოტომელის ნაცვლად – უცხოელი, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი; ურჯულოს ნაცვლად – არაქრისტიანი, არარელიგიური, სხვა აღმსარებლობის მქონე და ა.შ.



4 ტერმინი „**მაჰმადიანი**“ არ შეიცავს დამაკნინებელ შინაარსს. ამ დასახელებას, საუკუნეების განმავლობაში, იყენებდნენ ნეიტრალური ან კეთილგანწყობილი ავტორებიც, ზოგჯერ თავად მუსლიმებიც. იგი დამკვიდრებულია ლიტერატურულ ქართულში, მაგრამ „მაჰმადიანი“ არაზუსტად, დამახინჯებით გადმოსცემს ისლამისა და მისი მიმდევრების შინაარსს. მისი უშუალო მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ესა თუ ის მორწმუნე, შუამავალ, მოციქულ მუჰამედის მიმდევარია, მაშინ როდესაც თეონიმები „მუსლიმი“ და „ისლამი“, ეტიმოლოგიური მნიშვნელობითაც და თეოლოგიურადაც, უზენაესის მორჩილებასა და მის მიდევნებას ნიშნავს. დღესდღეობით, მუსლიმთა რელიგიური ლიდერების აქტიური მუშაობის შედეგად, სახელი „მაჰმადიანი“, ფაქტობრივად, ანაქრონიზმად იქცა. ზუსტი დასახელების გამოყენება, ამ შემთხვევაში, პრინციპულად მნიშვნელოვანია და, ამდენად, „მაჰმადიანით“ მისი ჩანაცვლება არ შეიძლება.

5 საქართველოს ისტორიასთან მიმართებით, სახელმძღვანელოებში „რუსების დაპყრობითი ომები“ ან „მართლმადიდებელთა ლაშქარი“ არსად გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში, შესაძლებელია, ამგვარი აღწერა, ნაწილობრივ, ასახავდეს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ, კორექტული და ზუსტი არ იქნება მთელი ერისთვის ან აღმსარებლობისთვის, ვთქვათ, ოკუპაციისა და ომის გაჩაღების მიწერა.

იმავე ლოგიკით, სასურველია, სახელმძღვანელოებმა მაქსიმალურად აარიდონ თავი სიტყვათშეთანხმებებს: „**მუსლიმი დამპყრობლები**“ ან „**მაჰმადიანთა არმია**“, ან „არაბთა/თურქთა/სპარსთა შემოჭრა“. მოვლენის ასეთი ლინგვისტური ფორმით ილუსტრირება თანამედროვე, კონკრეტულად კი, სასკოლო გარემოში, ქმნის ნიადაგს მტრის ხატის შექმნისა და ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, შუღლის გაღვივებისთვის. ამავდროულად, არც ისტორიული თვალსაზრისითაა გამართლებული. სანაცვლად, იქ, სადაც ტექსტი შინაარსობრივად ამის შესაძლებლობას იძლევა, სასურველია, გამოყენებული იყოს კონკრეტული მმართველის, კონკრეტული სახელმწიფოს დასახელება და არა მთელი ერის ან რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინები, მაგალითად: „არაბთა სახალიფოს დაპყრობითი ომები“, „შაჰ აბასის შემოჭრა“ და ა.შ.

6 მცდარი ტერმინია „**ქართული ეკლესია**“, რამდენადაც ეთნიკური ნიშნით ორგანიზებული რწმენის მთლიანობას მართლმადიდებელი ეკლესია არ იცნობს. არსებობს საქართველოს ეკლესია, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთი კათოლიკე წმიდა სამოციქულო ეკლესია საქართველოში – ტერიტორიული ნიშნით შემოფარგლული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ქრისტიანი, მართლმადიდებელი ადამიანების ერთობა, მაგრამ არა „ქართული ან ეროვნული ეკლესია“.

7 „**გრიგორიანული ეკლესია**“ და „**გრიგორიანელები**“. სახელმძღვანელოებში, როგორც წესი, სწორედ ასე არის მოხსენიებული სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენა და რელიგიური გაერთიანება. ეს ტერმინიც, ერთი შეხედვით, ნეიტრალ-



ლურია, მაგრამ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ამ დასახელებათა გამოყენებით კნინდება და ფუნდამენტურად იცვლება აღმსარებლობის ხასიათი და შინაარსი. გრიგოლ განმანათლებელი სომეხეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი იყო, მაგრამ, სომეხები არა გრიგოლის რწმენას, არამედ სამოციქულო აღმსარებლობას, ანუ ქრისტეს რწმენას აღიარებენ. თვალსაჩინო რომ გახდეს, რა პრობლემასთან გვაქვს, ამ შემთხვევაში, საქმე, შეგვიძლია, საქართველოს მართლმადიდებელ მორწმუნეთა თეონიმად, ანალოგიურად, შევქმნათ ტერმინი „ნინოიანელები“, რაც, ბუნებრივია, სრულიად დაამახინჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის აღმსარებლობასა და საღვთისმეტყველო შინაარსს.

8 გარდა ამისა, მოძველებულად მიიჩნევა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის რწმენის **მონოფიზიტურად** დახასიათებაც, ვინაიდან, სომეხთა ეკლესიის აღმსარებლობა ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას არ აღიარებს. ამ ტერმინით სომეხთა სამოციქულო ეკლესია თავად არ განსაზღვრავს საკუთარი რწმენის ქრისტოლოგიურ შინაარსს. ამ შემთხვევაში უფრო კორექტული და ზუსტი იქნება „არაქალკედონური აღმსარებლობის“ გამოყენება.

9 ხშირად, მართლმადიდებელი ეკლესიის აღმსარებლობისგან განსხვავებული ქრისტიანული თეოლოგიური დოქტრინები სახელმძღვანელო ტექსტებში მოხსენიებულია **ერეტიკულ, მწვალებლურ** აღმსარებლობებად, რაც, მიკერძოებული პოზიციის გარდა, ხელოვნურად ქმნის, ვთქვათ, სომეხთა სარწმუნოების ან კათოლიკე ეკლესიის აღმსარებლობის ერეტიკულად მიჩნევის წინაპირობას. ასეთი დამოკიდებულება, ყველა შემთხვევაში, ცალმხრივი, არაკორექტული და შეურაცხმყოფელია. სავსებით შესაძლებელია სარედაქციო ტექსტის დონეზე იმის დემონსტრირება, რომ ერთი აღმსარებლობის დამცველები, ვთქვათ, სამების დოგმატის ნებისმიერ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ერეტიკულად მიიჩნევენ და პირიქით, მაგრამ მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელო, ამ კუთხით, ნეიტრალური და ობიექტური იყოს.

10 არაერთი თანამედროვე ან მცირერიცხოვანი რელიგიური გაერთიანების აღწერისას, სახელმძღვანელოებში შესაძლოა შეგვხვდეს ტერმინები **სექტა** და **სექტანტები** – პროტესტანტულ აღმსარებლობებთან, დუხოზორებთან, მალაკნებთან, იეჰოვას მონუმებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგიურ კვლევებში ეს სიტყვები გამოიყენება, თანამედროვე ქართულ რეალობაში, ისინი ნეგატიურ კონოტაციას შეიცავს და ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისადმი უარყოფით განწყობას ქმნის. შესაბამისად, ამ აღმსარებლობათა მიმდევარი მასწავლებლები და მოსწავლეები, ბუნებრივია, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობენ.

11 რომის კათოლიკე ეკლესიის აღწერისას, ტერმინების **„პაპიზმი“**, **„პაპისტები“** და **„ლათინები“** გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე ეკლესია თავისი აღმსარებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტად პაპის განსაკუთრებულ სტატუსს მიიჩნევს,



ხოლო ლათინურობა, საუკუნეების განმავლობაში, რომის ეკლესიის ლინგვისტური მახასიათებელი იყო, ასევე აკნინებს და ამახინჯებს კათოლიკე ეკლესიის რწმენასა და გლობალურ ხასიათს.

ასევე მცდარია ტერმინი „**კათოლიკური ეკლესია**“, ისევე როგორც არაზუსტია „**მართლმადიდებლური ეკლესია**“. ხსენებული ეკლესიები საკუთარ თავს ცოცხალ ორგანიზმად მიიჩნევენ, ეკლესიასაც, შესაბამისად, უწოდებენ კათოლიკე ეკლესიას და მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც მორწმუნეს უწოდებენ მართლმადიდებელს ან კათოლიკეს და არა – კათოლიკურს ან მართლმადიდებლურს.

ზოგადად, უმჯობესია, ესა თუ ის აღმსარებლობა და რელიგიური გაერთიანება აღინეროს იმ ტერმინებით, რომლითაც ისინი თვითიდენტიფიცირებას ახდენენ, ან გამოყენებული იყოს ნეიტრალური ტერმინოლოგია ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების დასახასიათებლად. მაგალითად, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს ზოგადი, ნეიტრალური ტერმინები, როგორებიცაა: რელიგია, აღმსარებლობა (კონფესია), დენომინაცია, მიმდინარეობა, რელიგიური ჯგუფი, რელიგიური გაერთიანება, მრევლი.

12 გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ არის მართებული რელიგიებისა და რელიგიური აღმსარებლობების გაიგივება **იდეოლოგიებთან**, ვინაიდან რელიგია, თვითაღქმის მიხედვით, ტრანსცენდენტური, ირაციონალური, გამოცხადებისეული ფენომენია, იგი მიმართულია მარადიული ფასეულობებისკენ, ხოლო იდეოლოგია ადამიანური რაციოს მუშაობის შედეგად კონსტრუირებული, პოლიტიკურ-კულტურული, ასევე, რელიგიური ელემენტების შემცველი შეხედულებათა სისტემაა, რომლის მიზანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს უკეთესი მოწყობის, ეკონომიკური განვითარების და ა.შ. განსაზღვრავს.

მაგალითად, მართლმადიდებლობის რელიგიურ იდეოლოგიად გამოცხადება ამ აღმსარებლობის თეოლოგიურ ხასიათს ამახინჯებს და იგი პოლიტიკურ-სოციალურ დოქტრინამდე დაჰყავს.

სახელმძღვანელოებში შეიძლება შევხვდეთ ამგვარ დეფინიციას: „ქრისტიანობა იყო გაბატონებული კლასის იდეოლოგია“. ამ შემთხვევაში, იდეოლოგიად წარმოიჩინის გარდა, პრობლემატურია ასევე ისტორიის მარქსისტული, კლასობრივი თეორიის მიხედვით წაკითხვა და ინტერპრეტაცია.

სახელმძღვანელოებში, წყაროების დონეზე, შესაძლებელია შევხვდეთ ეთნონიმებსა და თეონიმებს, როგორიცაა: ურჯულო, ურია, მწვალებელი, სარკინობები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ამ დასახელებებსა და განსაზღვრებებსაც სარედაქციო კომენტარი მოსდევდეს.



უზუსტობები და ლაფსუსები

როგორც ისტორიის, ასევე ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, რელიგიასთან დაკავშირებული მსჯელობისას, გვხვდება გარკვეული ლაფსუსები და უზუსტობები, მაგალითად, ერთგან სარედაქციო ტექსტი ასე ხსნის სამების დოგმატს

“ნიკეის საეკლესიო კრებამ, პირველ რიგში, ქრისტიანული რწმენის სიმბოლო განსაზღვრა, რომელიც დღემდე უცვლელია მართლმადიდებლურ ეკლესიაში. [...] ძე ღმერთი და სულიწმინდა დამოუკიდებელი და თანაბარი საწყისებია და არსებობენ ერთობაში. ამიტომ ვუნოდებთ ჩვენ ღმერთს სამება ერთარსებას. მამაღმერთი არის საწყისი მისგან იშვა ძე და სულიწმინდა”.

ერთარსება სამებას არ აქვს სამი სხვადასხვა წყარო. მისი საწყისი, მისი არსი ერთია. ეს ნიკეური ტრინიტარული თეოლოგიის თვალსაზრისით, უმძიმესი შეცდომაა.

„უფალი ებრაელებმა და რჯულის მოძღვრებმა არ მიიღეს...“

ამ წინადადების კონტექსტი გულისხმობს იმას, რომ მთელ ებრაელ ერს რედაქცია, ფაქტობრივად, ქრისტეს ჯვარცმაში ადანაშაულებს. ქრისტეს სიკვდილით დასჯაში ებრაელების დადანაშაულება ანტისემიტობის ერთ-ერთი ყველაზე მკვიდრი საფუძველია, რაც არ შეესაბამება ისტორიულ კონტექსტს, რადგან თავად ქრისტე, მისი მოწაფეებიც და პირველი ეკლესიაც იუდაურ-ებრაული იყო. ამასთანავე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კათოლიკე და პროტესტანტულმა ეკლესიებმა უარყვეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ებრაელი ერი ქრისტეს ჯვარცმაში შეიძლება იყოს ბრალეული.

„არც ერთი რელიგია არ აღიარებს ევოლუციურ თეორიას და კვლავ კრეაციონულ იდეას იცავს“.

კრეაციონულ იდეაში იგულისხმება სამყაროს შექმნა ექვსი 24-საათიანი დღის განმავლობაში, ასევე სამყაროს შექმნის შუასაუკუნეობრივი, რელიგიური წელთაღრიცხვის ასაკი. ამ საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე ქრისტიანულ თეოლოგიაში, როგორც კათოლიკურში, ასევე მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულში, განსხვავებული პოზიციებია, არსებობს კრეაციონიზმისა და ევოლუციის თეორიის ერთმანეთთან შეთავსების მცდელობებიც. საკმარისია ისეთი უმნიშვნელოვანესი თეოლოგების დასახელება, როგორებიც არიან პიერ ტეიარ დე შარდენი (კათოლიკე), ალექსანდრ მენი (მართლმადიდებელი) და კარლ ბარტი (პროტესტანტი).

„ყველა რელიგია მხარს უჭერს და ახდენს სახელმწიფოს მეთაურის (მონარქის) ღვთაებრივ ლეგიტიმაციას“.



ეს ერთმნიშვნელოვანი განზოგადება უფრო მეტად აღწერს შუა საუკუნეების რეალობას, ვიდრე თანამედროვე კონტექსტს. იუდაიზმში, ისლამში, ბუდიზმში, ვედურ რელიგიებში, პროტესტანტიზმში არ არის მონარქიისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, ასევე, ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების შემდეგ (1962-65 წლები), სრულიად შეიცვალა კათოლიკე ეკლესიის დამოკიდებულება მონარქიისა და დემოკრატიისადმი.

„მე-11 საუკუნეში რომის იმპერატორები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ძალაუფლება მეტისმეტად მოძღვარებულ საერო და სასულიერო ფეოდალებთან ურთიერთობისას. განსაკუთრებით გაძლიერდნენ რომის პაპები, რომელთაც იკისრეს მთელი დასავლური ევროპის ეკლესიის მეთაურობა: მას კათოლიკე ეკლესია ეწოდა“.

ტექსტიდან ისე იკითხება, თითქოს, რომის ეკლესიას, მხოლოდ მე-11 საუკუნეში, პაპების გაძლიერების შემდეგ დაერქვა კათოლიკე, მაშინ როდესაც რომის ეკლესია დასაბამიდანვე საკუთარ თავს კათოლიკედ, ანუ საყოველთაოდ, განსაზღვრავს. მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა რწმენის სიმბოლოში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეკლესიის მსაზღვრელი არის მისი კათოლიკეობა, ანუ საყოველთაოობა – „მრწამს ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესია“.

„...ისლამი აღიარებს იუდეველთა და ქრისტიანთა საღვთო წიგნებს, მათ წმინდანებს: აბრაამს, იაკობს, ისააკს, მოსეს, ღვთისმშობელს და ქრისტეს (მხოლოდ უფლის მოციქულად და არა ღმერთად)“.

ისლამი იესოს აღიარებს უდიდეს მოციქულად, შუამავლად, ასევე აღიარებს მარიამის ქალწულებას, მაგრამ უხეში შეცდომაა, ისლამის მოძღვრების კონტექსტში, მარიამის ღვთისმშობლად მოხსენიება. ეს ციტატა ფუნდამენტურად ამახინჯებს ისლამის მოძღვრებას.

„აღმსარებელი“ განმარტებულია, როგორც „აღსარების მთქმელი მორწმუნე“.

ძველი ქართული ლიტერატურისა და თეოლოგიის კონტექსტში, ეს სიტყვა გამოხატავს სარწმუნოების მაღიარებელსა და დამცველს.

სამოქალაქო განათლების ერთ-ერთ სახელმძღვანელოში გვხვდება ტოლერანტობის ფასეულობის შემდეგი ილუსტრაცია:

თემა 31, მშვიდობიანი თანაარსებობის წესი: „კვირა დღეს რუსი მეზობელი – ავტობუსის მძღოლი, თავისი მანქანით ჩამოარიგებდა მეზობლებს თავთავიანთ სალოცავებში – სინაგოგაში, მეჩეთში, მართლმადიდებლურ ეკლესიაში – რომლებიც ძველ თბილისში ერთმანეთის მახლობლად აღმართულიყო. მოგვიანებით ისევ ჩამოუვლიდა, შეაგროვებდა ყველას და ისევ ეზოში ამოიყვანდა...“

უნდა ითქვას, რომ ტოლერანტობა არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ადამიანებს სხვადასხვა აღმსარებლობა აქვთ, მათ შორის რაღაც ურთიერთობაც უნდა არსებობდეს, რომელიც



ამ მაგალითში არ ჩანს, გარდა იმისა, რომ ყველა რუსი მძღოლის მანქანაში ზის. გარდა ამისა, მუსლიმები და ებრაელები კვირა დღეს სალოცავებში არ დადიან. ებრაელებისთვის ასეთი დღე შაბათია, ხოლო მუსლიმებისთვის საერთო ლოცვის დღე, ე.წ. ჯუმას დღე – პარასკევია. შესაბამისად, ეს აღწერა შინაარსობრივადაც მცდარია და არც ტოლერანტობის ნიმუშად გამოდგება.

„პიტლერმა ამ ბრძანებით დააკანონა სულიერად და ფიზიკურად დაავადებული და უნარშეზღუდული ადამიანების განადგურება... 190.000 სულიერად და ფიზიკურად ინვალიდი ადამიანი იქნა მოკლული“.

ჰოლოკოსტზე საუბარი უმნიშვნელოვანესია, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მრავალი კუთხით გაიაზრონ ჰოლოკოსტის მოვლენა და რასიზმი, როგორც მიზანმიმართული ბოროტება, მაგრამ დაუშვებელია იმ ჯგუფების არაკორექტულად მოხსენიება, ვის წინააღმდეგაც ეს ბოროტება იყო მიმართული.

შესაბამისად, უნდა დაინეროს: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მენტალური და ფიზიკური განვითარების დარღვევების მქონე ადამიანები. ინვალიდი, ავადმყოფი, უნარშეზღუდული – ეს ტერმინოლოგია სახელმძღვანელოებისთვის შეუფერებელია.

„ინდოეთის უმთავრესი პრობლემები იყო: ჭარბი მოსახლეობა და აქედან გამომდინარე სიღატაკე, კონფესიური და ეთნოლინგვისტური სიჭრელე“.

ინდოეთის ერთ-ერთი მთავარი ისტორიული და კულტურული მახასიათებლის, „მრავალფეროვნების“, მის მთავარ პრობლემად წარმოიჩინა, ისტორიულ-კულტურული კუთხითაც და კონტექსტუალურადაც, სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, მცდარია.

სარედაქციო კომენტარი: ...„ქართველობა განუწყვეტლივ იბრძოდა საქართველოში ქრისტიანობის უძლიერესი კონკურენტის – მაზდეანობის – დანერგვის წინააღმდეგ“.

მაზდეანობა (აჰურამაზდას რელიგია) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აღმსარებლობა იყო საქართველოში, შესაბამისად, მას აღიარებდნენ როგორც ქართველი მთავრები და მეფეები, ასევე ქვეყნის მოსახლეობაც. საკითხის ასე წარმოჩენა, რომ ქართველები განუწყვეტლივ იბრძოდნენ, არის ანტიისტორიული და არამეცნიერული მიდგომა.

სარედაქციო კომენტარი: არა დამონებულ არს ძმაი გინა დაი, არამედ განეყენენ – „პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში გარკვევით წერია, რომ, თუ ცოლი ან ქმარი შეიცვლის სარწმუნოებას, მეორემ მის კვლავ მოქცევაზე უნდა იბრუნოს, მაგრამ თუ ურწმუნო მეუღლე არ მოიქცევა ქრისტეს რჯულზე, მაშინ განშორება ჯობს. მორწმუნე დამონებული არ არის, მისი ნება თავისუფალია“.

ასეთი რამ პავლესთან არსად გვხვდება. მოციქულის ეპისტოლეში პირდაპირ საპირისპირო აზრია გატარებული:



დანარჩენებს კი მე ვეუბნები და არა უფალი: თუ რომელიმე ძმას ურწმუნო ცოლი ჰყავს და ქალი თანახმაა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას.

ასევე ცოლიც, რომელსაც ურწმუნო ქმარი ჰყავს და კაცი თანახმაა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას.

რადგანაც ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება, ურწმუნო ცოლი კი – მორწმუნე ქმრისაგან. თორემ თქვენი შვილები არაწმიდანი იქნებოდნენ, ახლა კი წმიდანი არიან.

ხოლო თუ ურწმუნოს გაყრა სურს, დე, გაეყაროს. ამ შემთხვევაში დასაც და ძმასაც გზახსნილი აქვთ, ვინაიდან მშვიდობისთვის გვიხმო უფალმა.

რა იცი, ქალო, იხსნი თუ არა ქმარს? ან შენ რა იცი, კაცო, იხსნი თუ არა ცოლს? (1 კორინთ. 7. 12 -16)